# ევროსტუდენტი VII: საერთაშორისო კვლევა

eurostudent.eu

## ევროსტუდენტი VII: საერთაშორისო კვლევა

❖ „ევროსტუდენტი“ არის ფართომასშტაბიანი საერთაშორისო კვლევა, რომელიც შეისწავლის ევროპის უნივერსიტეტების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ცხოვრების პირობებს და სწავლის თავისებურებებს.

❖ აღნიშნული კვლევის ჩატარება 1990-იან წლებში დაიწყო და ხორციელდება ევროპის კონტინენტის ოცზე მეტ ქვეყანაში.

❖ . საქართველო ევროსტუდენტის საერთაშორისო კვლევას პირველად 2014 წელს შეუერთდა პილოტური ქვეყნის სტატუსით. მიმდინარე კვლევა საქართველოსთვის რიგით მესამეა (2019-2021).

❖ ევროსტუდენტის საერთაშორისო კვლევას კოორდინირებას უწევს ევროსტუდენტის კონსორციუმი, რომელსაც ხელმძღვანელობს უმაღლესი განათლების კვლევისა და მეცნიერების შესწავლის ცენტრი (DZHW) (იხ. www.eurostudent.eu).

❖ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა გამოკითხვას ახორციელებს კვლევითი ორგანიზაცია „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი“ (ISSA), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით.

## ევროსტუდენტის საერთაშორისო კვლევის მიზნები

✓ სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოპოვება სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობისა და სწავლის თავისებურებების შესახებ;

✓ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტების შედარების საფუძველზე, ერთიანი ევროპული განათლების სივრცის ფუნქციონირების პრობლემების გამოვლენა;

✓ სტანდარტიზებული მონიტორინგის სისტემის შექმნა, რომელიც შესაძლებელს გახდის, რომ ობიექტურად გაიზომოს და შეფასდეს სტუდენტების სოციალური ფონი.

## კვლევის ფარგლებში შესასწავლი საკითხები

- ✓ სწავლის ტიპი და ინტენსივობა;
- ✓ დასაქმება და დროის განაწილება;
- ✓ სტუდენტების ხარჯები და შემოსავალი;
- ✓ საცხოვრებელი პირობები;
- ✓ მობილობა და ინტერნაციონალიზაცია;
- ✓ სტუდენტების სამომავლო გეგმებისა და სწავლის შეფასება.

## კვლევის სამიზნე ჯგუფი

❖ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები, საქართველოს მოქალაქეებიც და უცხოელებიც, რომლებიც სწავლობენ საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და ერთსაფეხურიანი სწავლების პროგრამებზე.



## კვლევის მეთოდოლოგია

❖ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების კვლევა საერთაშორისო კონსორციუმის „ევროსტუდენტის“ მიერ დადგენილი კვლევის მეთოდოლოგიის ყველა სტანდარტის დაცვით ხორციელდება (იხ. www.eurostudent.eu).

❖ კვლევა ტარდება რაოდენობრივი კვლევის მეთოდის - ანკეტირების – გამოყენებით, ძირითადად ელექტრონულ (ონლაინ) რეჟიმში. ონლაინ გამოკითხვისთვის მოხდა ონლაინ გამოკითხვის პროგრამირება და შემუშავდა კვლევისთვის სტუდენტთან ინდივიდუალური წვდომის მოდელი.

❖ სტუდენტები ანკეტას მიიღებენ ელექტრონულად, უნივერსიტეტის პორტალზე, ან პირად ელექტრონულ ფოსტაზე. ცალკეულ შემთხვევებში, მოხდება სტუდენტების ანკეტირება ტაბების გამოყენებით.

საველე სამუშაოები ჩატარდება 2019 წლის მაის-ივნისში.

## ანონიმურობა

- ✓ კვლევაში მონაწილე სტუდენტების ანონიმურობა დაცულია;
- ✓ სტუდენტები ანკეტაში არ უთითებენ პირად ინფორმაციას: სახელს, გვარს, საცხოვრებელ მისამართს და ტელეფონის ნომერს;
- ✓ მონაცემები გამოყენებული იქნება მხოლოდ განზოგადებული სახით, სტატისტიკური მიზნებისათვის.

**<u>სტუდენტების აქტიური მონაწილეობა და კვლევის მნიშვნელობის გაცნობიერება ხელს შეუწყობს ამ უაღრესად ღირებული საერთაშორისო პროექტის წარმატებით განხორციელებას.</u>**

## დამატებითი ინფორმაცია:

ელფოსტა: info@issa-georgia.com
ტელ: (+995)32 2 434 900 | მობ: (+995) 598 802 108